



international
alert

„ენგურის კარიბჭის“ გახსნა კანონიერი ბიზნესისთვის

პოლიტიკური კომპრომისის პირობები



Peace
is within
our power

International Alert-ის შესახებ

International Alert-ი, ისახავს რა მიზნად გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევას, უშუალოდ იმ ადამიანებთან მუშაობს, რომლებზეც კონფლიქტმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა. ჩვენი რწმენით, ერთად დგომა მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების ძალას მოგვცემს. ძირითად ყურადღებას კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, გამყოფი საზღვრების გადაღმა ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებას ვუთმობთ. უბრალო მოქალაქეებიდან პოლიტიკოსებამდე, ყველანი ვერთიანდებით ყოველდღიური მშვიდობის დასამყარებლად.

მშვიდობა არა მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებას და იარაღის შენახვას მოაქვს, არანაკლებ მნიშვნელოვანი აქ თემების თანაცხოვრება და მათ შორის არსებული განსხვავებების ძალადობის გარეშე გადაჭრაა. სწორედ ამიტომ გვჯერავს, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვითამაშოთ ჩვენი როლი უფრო მშვიდობიანი მომავლის შენების პროცესში..

www.international-alert.org

© International Alert 2018

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია მოცემული ნაშრომის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება, შენახვა საინფორმაციო-საძიებო სისტემის ფარგლებში ან გადაცემა ნებისმიერი, ელექტრონული, მექანიკური, ფოტო, ჩანაწერისა თუ სხვა საშუალებით ავტორისა და წყაროს სრულფასოვანი მითითების გარეშე.

დაკაბადონება და გაფორმება: D. R. ink



international
alert

„ენგურის კარიბჭის“ გახსნა კანონიერი ბიზნესისთვის

პოლიტიკური კომპრომისის პირობები

ავტორი: ნატალია მირიმახოვა

მკვლევარები: ვახტანგ ჭარაია და ლოლოიტა ზაღვი

2018 წლის ოქტომბერი

მადლობა

წინამდებარე ანგარიში მომზადდა შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის და ევროკავშირის (გაეროს განვითარების პროგრამის მეშვეობით) დახმარებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ და მხოლოდ International Alert-ის აზრს ასახავს და დონორების მოსაზრებებს ან პოლიტიკას შეიძლება არ ემთხვეოდეს.

International Alert-ი აგრეთვე მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის თავის ძირითად დონორებს: ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს; ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტს; და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისთვის თანამშრომლობის სააგენტოს.

ავტორის შესახებ

ნატალია მირიმანოვა არის კონფლიქტოლოგიის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, და მას ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნებში – რუსეთი, სამხრეთ კავკასია, მოლდოვა, კვიპროსი, დასავლეთ ბალკანები და აღმოსავლეთ ევროპა – გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით მუშაობის უდიდესი გამოცდილება გააჩნია. ნატალია აგრეთვე ბრიუსელში განლაგებული საკონსულტაციო კომპანიის „ევრაზიის სამშვიდობო ინიციატივა“ (Eurasia Peace Initiative) დირექტორი და International Alert-ის ევრაზიის პროგრამის უფროსი მრჩეველი გახლავთ. მას უამრავი კვლევა განუხორციელებია, დიალოგის პლატფორმა შეუქმნია და მათთვის უწინამძღოლია, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაუწევია კონსულტირება კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების პოლიტიკასა და საკითხებზე. იგი აშშ-ს ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ინსტიტუტის“ დოქტორის ხარისხ ფლობს.

შინაარსი

შეჯამება	4
1. შესავალი	7
2. კვლევის ჩარჩოები და მეთოდოლოგია	8
3. ძირითადი დასკვნები	10

რეგიონის რუკა



განმარტება: სამხრეთ კავკასიის კონტექსტში გეოგრაფიული დასახელებები და საზღვრები საკამათო საკითხს წარმოადგენს, ამიტომ ეს რუკა უბრალოდ ცნობისათვისაა მოყვანილი და კონფლიქტების შესახებ არანაირ პოლიტიკურ ან სხვა ტიპის მოსაზრებებს არ ასახავს.

შეჯამება

ბიზნეს წრეები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ორივე მხარეს სხვადასხვანაირად აფასებენ სარგებელს, რომლის მოტანაც კანონიერი ბიზნესისთვის „ენგურის კარიბჭის“ გახსნას შეუძლია და, ამ „კარიბჭის“ რეალურად გახსნის შემთხვევაში, წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენებასთან დაკავშირებით სხვადასხვა დონის მზაობას გამოხატავენ. ამასთან, საქმიანი წრეების არცერთ წარმომადგენელს არ გამოუხატავს მზადყოფნა, ლობირება გაუწიოს საკუთარ ინტერესებს მათ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, რათა მოხდეს ისეთი დროებითი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შემუშავება და დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობდა კონფლიქტის მხარეების გამყოფი ბარიერის გადალმა წარმოებულ ბიზნეს საქმიანობის დეკრიმინალიზაციას და ახალი ბაზრების და მიმართულებების გახსნას იმის გათვალისწინებითაც კი, რომ პოლიტიკური წინააღმდეგობების და უშიშროების საკითხების მოგვარებას შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს. ბიზნეს წრეების აზრით, ასეთი გადაწყვეტილებები პოლიტიკური ნების არსებობას მოითხოვენ.

წინამდებარე კვლევაში აღწერილია პირობები, რომლებიც ხელს უწყობს, ან უშლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნების კონსოლიდაციას. ნების, რომელიც ბიზნესს როგორც ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სახალხო დიპლომატიის სფეროში თავისი როლის შესრულების შესაძლებლობას მისცემდა. შემთხვევები, როდესაც კერძო სექტორმა შეძლო ზეგავლენა მოეხდინა მშვიდობის გამყარებაზე, და როდესაც ეკონომიკურმა პროცესებმა პოლიტიკური რეფორმები და ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი ცვლილებები მოგვითანა, გვიჩვენებენ, რომ პოლიტიკური ჩინიდან გამოსავლის პოვნა შესაძლებელია, თუკი პოზიციების დაახლოვება ისეთ სფეროებში ხდება, რომლებშიც მხარეები ურთიერთქმედებენ, და რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ყველა მხარეს ცხოვრების ხარისხის და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამკარაა, რომ ასეთი პროცესები შეიძლება მშვიდობიანი მშენებლობის მამოძრავებელი ძალა გახდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიტიკური ნების და საზოგადოებრივი დაინტერესების გარკვეული დონე არსებობს.

- **კონფლიქტის მხარეებს სრულიად განსხვავებული პოზიციები აქვთ კონფლიქტის ხაზის გადალმა ბიზნეს ურთიერთობების პოლიტიკური მისაღების (შესაბამისი პირობების განსაზღვრის და მათი შესრულების თანმიმდევრობის ჩათვლით) და პრაქტიკული მიზანშეწონილობის თაობაზე.**

მთლიანობაში, აფხაზეთის პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და საზოგადოებრივი აზრის ლიდერები კონფლიქტის საზღვრის გადალმა ეკონომიკური საქმიანობის კანონიერი არხების განვითარების პოლიტიკურ მიზანშეწონილობას და ეკონომიკურ სარგებელს, საუკეთესო შემთხვევაში, ნაადრევად და არაპრიორიტეტულად მიიჩნევენ, რადგან რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება უკვე დაეხმარა აფხაზ მეწარმეებს იზოლაციის გარღვევაში. ეკონომიკური ურთიერთქმედების წესების და ნორმების განსაზღვრის შესახებ ნებისმიერი მოლაპარაკებების დაწყების მინიმალურ პოლიტიკურ წინაპირობას საქართველოს მიერ ძალის არ გამოყენების შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა წარმოადგენს. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მიმართ დათმობად შეიძლება იქნას აღქმული, დაგმობილი იქნება საზოგადოების მიერ, როგორც ღალატი, რის უფლებასაც თავს ვერც ერთი აფხაზი პოლიტიკოსი ვერ მისცემს.

ქართული პოლიტიკური წრეები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქართულ და აფხაზურ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის თანამშრომლობის განვითარების მომხრეები არიან, რაც ქართულ პოლიტიკაში გაბატონებულ ზოგად განწყობას ასახავს. მოსაზრება, რომ ორ ხალხს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების და პიროვნული კავშირების აღდგენას მშვიდობის გზაზე მივყავართ, ფართოდაა გავრცელებული. ერთიანი ქართულ-აფხაზური

სივრცის პოლიტიკური ფორმულა არ გახლავთ პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დისკუსიის ცენტრალური საკითხი. პრიორიტეტად უფრო ადამიანური ურთიერთობების და სოციალური კავშირების აღდგენა ითვლება. პოლიტიკურ სფეროში ძალისხმევა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მობილიზაციისაკენ არის მიმართული, რათა მან ზეწოლა მოახდინოს რუსეთზე: აიძულოს იგი გაიყვანოს შეიარაღებული ძალები საკამათო ტერიტორიებიდან და თავიდან აიცილოს გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რასაც დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ფედერაცია.

• **კონფლიქტის საზღვარს გადაღმა თანამშრომლობის ენგურჭესის ერთობლივი ექსპლუატაციის გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელი აქტუალობას კარგავს**

პოლიტიკური სფეროს მიღმა თანამშრომლობის მაგალითად ხშირად ენგურჭესი მოჰყავთ, თუმცა მან მომავალში შესაძლოა ორივე მხარისთვის დაკარგოს თავის მიმზიდველობა. თანამშრომლობის ასეთი მოდელი ხელს უფრო ხშირად აღიქმება, როგორც უსამართლო და საქართველოს მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ხარჯზე განხორციელებული. თავის მხრივ, აფხაზეთის მხარე დისკომფორტს განიცდის ამ ჰესზე ტოტალური დამოკიდებულების და, შესაბამის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზით, ელექტროენერჯის სანდო ალტერნატიული წყაროების არარსებობის გამო. მხარეებს შორის არსებული ზეპირი და დოკუმენტალურად დაუდასტურებელი შეთანხმებები – კომპრომისი, რომელიც ობიექტის ყოველდღიურ ექსპლუატაციას ტერიტორიის სტატუსის საკითხების განხილვის და ხელმომწერთა თანამდებობების დაზუსტების გარეშე უზრუნველყოფს – მოქალაქეებში შეკითხვებს ბადებს და პოლიტიკური მანიპულაციების შესაძლებლობებს წარმოშობს. ენგურჭესის ასეთი ერთობლივი ექსპლუატაციის მთავარი გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ არანაირ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან შეთანხმებას არ გააჩნია გრძელვადიანი პერსპექტივა, თუკი მისი განხორციელება ღრმა პოლიტიკური უნდობლობის ატმოსფეროში და კონფლიქტის მხარეებს შორის მორღვეული სოციალური ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობს, თუკი იგი არ არის გამჭვირვალე, თუკი არ არსებობს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის და კორექტირების ფართო საზოგადოებისთვის იოლად გასაგები, მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი ალგორითმები, და თუკი ხარჯების და სარგებლის თანაფარდობა ორივე მხარეს ერთნაირი არ არის.

• **მხარეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ „ენგურის კარიბჭის“ გადაღმა ბიზნეს-საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს იდეას და მათ მიერ ამ იდეის მხარდაჭერის დონეებიც განსხვავებულია.**

არცერთი მხარე მზად არაა ჰიპოთეტური ნორმატიული-სამართლებრივი ბაზის დეტალები განიხილოს. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არსებული პოლიტიკური უთანხმოებები ძირითად პრობლემად რჩება და წინ გახედვის საშუალებას არ იძლევა. მხარეები სხვადასხვანაირად ხედავენ ნაბიჯებს, რომლებიც სხვადასხვა მხარეს არსებული ბიზნესების დონეზე ურთიერთობების რეგულირების შესახებ ნებისმიერი პოლიტიკური დიალოგის წამოსაწყებად უნდა გადაიდგას: ქართველებისთვის აფხაზურ მხარესთან დიალოგის დაწყების ძირითად წინაპირობას რუსეთის მხრიდან თანხმობა წარმოადგენს; აფხაზებისთვის კი, ყველაზე მთავარი საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართ ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაა, რაც საქართველოს მიერ საომარი ქმედებების არგანახლების პრინციპისადმი ერთგულების და აფხაზეთი თანაბარ პარტნიორად ცნობის დამადასტურებელი იქნება.

აფხაზეთის მხარისთვის მიუღებელია ნებისმიერი წესები ან სიმბოლიკა, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზით აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში „რე-ინტეგრაციას“ უწყობს ხელს. ანალოგიურად, ნებისმიერი სიმბოლიკა (ბეჭდები, ოფიციალური ბლანკები თუ თანამდებობის დასახელებები), რომელიც აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობის

დემონსტრირებას ახდენს, მიუღებელია ქართული მხარისათვის. ამასთან, სატვირთო გადაზიდვების თანმდევი ქაღალდის დოკუმენტაციის ელექტრონული ჩანაცვლების იდეას ორივე მხარე, მთლიანობაში, დადებითად შეხვდა. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა ორივე მხარის მიერ სკეპტიკურად იქნა აღქმული.

მძლავრ სტიმულს გავლენის მქონე გარეშე მოთამაშის მხრიდან, გასაგები და რეალურად მიღწევადი სარგებლის მკაფიოდ ჩამოყალიბებასთან ერთად, შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს ორივე მხარის დარწმუნებაში, რომ საჭიროა ორმხრივი ან მრავალმხრივი (ორივე მხარისთვის სანდო მესამე მხარის მონაწილეობით) დიალოგის დაწყება. თუკი მხარეები მისაღებ კანდიდატურაზე, იქნება ეს ქვეყანა თუ ორგანიზაცია, ვერ შეთანხმდებიან, შესაძლებელია შუამავლად ჩაერთოს კონკრეტული ფიზიკური პირი, რომელიც ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

- მხარეების დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომები ტვირთების ტრანზიტის მიმართ**
 აფხაზური მხარისთვის ტვირთების ტრანზიტი ორ მხარეს შორის ბიზნესის წარმოების ყველზე მისაღებ საშუალებას წარმოადგენს (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ პოლიტიკური წინაპირობები დაკმაყოფილებულია), რადგან ამ შემთხვევაში მხარეებს შორის პირდაპირი ურთიერთობის მინიმალური საჭიროება არსებობს. ამის საწინააღმდეგოდ, ქართული მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე ტვირთების ტრანზიტს დიდი რისკის მქონე ინიციატივად აფასებს, ამ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის და კანონიერებასთან და უშიშროებასთან დაკავშირებული პრობლემების, ისევე როგორც რეგიონული უშიშროების მოსაზრებების გამო.

- არც ერთი მხარე არ მოელის ქენევის პროცესისაგან პროგრესს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა ვერც ამ პროცესის ალტერნატივას ხედავს**
 ქენევის დისკუსიების პროცესში ან მის პარალელურად ეკონომიკურ საკითხებზე დიალოგის წამოწყებამ შეიძლება მხარდაჭერა მიიღოს, როგორც დამატებითმა საშუალებამ ან სტაგნაციაში მყოფი პოლიტიკური მოლაპარაკებების კატალიზატორმა.

- ორივე მხარე თანახმაა, რომ საჭიროა გადაიხედოს ან სრულებით გაუქმდეს საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რაც კონფლიქტის მხარეებს შორის ბიზნეს ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს.**

ეს კანონი აფხაზურ ბიზნესზე რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს, რადგან ამ უკანასკნელს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება რუსეთის გავლით შეუძლია. მეტიც, აფხაზურ მხარეს ურჩევნია საერთოდ არ გამოიყენოს ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“, ამტკიცებს რა, რომ ეს არ შეესაბამება რეალობას და აფხაზეთს კონფლიქტის მეორეხარისხიდან მონაწილედ წარმოაჩენს. ამგვარად, კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ თავად არსებობის ფაქტიც კი აფხაზეთს საქართველოსთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების წინააღმდეგ უბიძგებს.

ქართველები, განსაკუთრებით აფხაზეთთან თანამშრომლობის მომხრეები, მზად არიან გადახედონ და გააუქმონ კიდევ კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, როგორც პოლიტიკური კეთილი ნების გამოხატულება, რაც იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ქვეყანა მზად არის წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროს. ამავდროულად, შეიძლება შექმნას სივრცე დიალოგისთვის არსებული „წითელი ხაზების“ გათვალისწინების გარანტიების და ურთიერთობებში პროგრესის უზრუნველყოფის გზების შესახებ. ქართული მხარის ბევრი წარმომადგენელი აღიარებდა, რომ ამ კანონის მიღება შეცდომა იყო, და ამას თავის დროზე ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებიც ამბობდნენ.

1. შესავალი

2018 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული კვლევის „ენგურის კარიბჭის“ გახსნა კანონიერი ბიზნესისთვის: ქართველი და აფხაზი მეწარმეების და კომპანიების მოსაზრებები¹ საგანს „ენგურის კარიბჭის“ გადაღმა ბიზნეს ურთიერთობების განვითარების მარეგულირებელ ჰიპოთეტურ ნორმებთან დაკავშირებული ზოგადი მოცემულობები, ეკონომიკური გათვლები და ქართული და აფხაზური კომპანიების მოსაზრებები წარმოადგენდა. კვლევის ავტორებმა მიზნად იმის გარკვევა დაისახეს, აფასებენ თუ არა კონფლიქტის ორივე მხარის კერძო მეწარმეები დეკრიმინალიზაციას და ბიზნეს პროექტების და ურთიერთობების ნორმატიულ რეგულირებას (რაც ამჟამად პოლიტიკისა და უშიშროების მოუგვარებელი საკითხების გამოა დაბლოკილი), როგორც მათ ბიზნესებზე, მთლიანად ეკონომიკაზე და მშვიდობიან პოლიტიკურ პროცესებზე დადებითი ზეგავლენის მქონე ფაქტორებს.

კვლევის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიტიკა ბიზნესთან შედარებით უფრო პრიორიტეტულია. ბიზნესის ზოგიერთი დარგი უფრო დიდ დაინტერესებას ამჟღავნებდა საქონლის მოძრაობაზე (ტვირთების ტრანზიტის, სასაქონლო-სამეურნეო კავშირების განვითარების და გასაღების ბაზრების ხელმისაწვდომობის ჩათვლით) არსებული შეზღუდვების დაძლევის კანონიერი შესაძლებლობების მიმართ, ვიდრე სხვა დარგები, თუმცა ეს პერსპექტივები, ყველას აზრით, აბსტრაქტულია და მათ რეალიზაციას ორივე მხარის მიერ პოლიტიკური ნების გამოვლენა სჭირდება. უკანონო ბიზნესში ჩართულობა არაეთიკურად, რეპუტაციისთვის სარისკოდ და უბრალოდ სიცოცხლისთვის სახიფათოდ აღიქმებოდა. ზოგიერთი რესპონდენტი მზადყოფნას გამოთქვამდა ჩართულიყო კანონიერ ბიზნესში, თუკი ამის საშუალება გაჩნდებოდა, და დარწმუნებული იყო, რომ საქმიანი კავშირები ნდობის ზრდას და გაღრმავებას უწყობს ხელს. სხვები კი მსგავსი ვარიანტების, როგორც პოლიტიკურად უადგილოს და ეთიკურად მიუღებლის, უარყოფას განაგრძობდნენ. ასეა თუ ისე, საქმიანი წრეების არცერთი გამოკითხული წარმომადგენელი არ იყო მზად, რაიმე მოემოქმედებინა საკუთარი პოლიტიკური ლიდერების სტიმულირებისთვის, რათა ამ უკანასკნელთ უფრო პროაქტიური პოზიციები დაეკავებინათ, რადგან არსებობს ალტერნატიული გზებიც და „ენგურის კარიბჭის“ გახსნა, მიუხედავად ბიზნეს საქმიანობის ახალი პერსპექტივების შექმნისა, სასიცოცხლო აუცილებლობას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, როგორც საქართველოში, ასევე აფხაზეთში, ბიზნესი ცდილობს თავი პოლიტიკისგან შორს დაიჭიროს.

რათა შეგვეფასებინა იმისთვის აუცილებელი კონტექსტური ფაქტორები, ფსიქოლოგიური მოცემულობები და წინა გამოცდილება, რომ პოლიტიკურმა ნებამ ეკონომიკური დიპლომატიის არხების² გახსნის საშუალება მოგვცეს, რაც სტაგნაციაში მყოფი პოლიტიკური პროცესის კატალიზატორი იქნება, დამატებითი კვლევა ჩატარდა. კერძოდ, გაანალიზდა პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პოლიტიკური კლასი და სამოქალაქო საზოგადოება მზად იქნებიან მხარი დაუჭიროონ (ან უარი თქვან მხარდაჭერაზე) მოდელს, რომელიც კონფლიქტის მხარეებს შორის კანონიერი ბიზნეს ურთიერთობების წარმოების საშუალებას შექმნის (წესებზე დაფუძნებული ბიზნეს ურთიერთობების მეშვეობით ნდობის გაძლიერების მიზნით) და ამავდროულად არცერთი მხარის „წითელ ხაზებს“ არ შეეხება.

კანონიერ შესაძლებლობაში ჩვენ კონფლიქტის მხარეებს შორის დადებულ ისეთ ხელშეკრულებას ვგულისხმობთ, რომელიც კონფლიქტის ხაზის გადაღმა ბიზნესის წარმოების დროებით, საგანგებო და შეთანხმებულ რეგლამენტს განსაზღვრავს, კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე.

1 N. Mirimanova, Opening the 'Ingur/i gate' for legal business: views from Georgian and Abkhaz private companies, London: International Alert, 2018
2 J. McDonald and L. Diamond, Multi-track diplomacy: A systems approach to peace, Virginia: Kumarian Press, 1996

2. კვლევის ჩარჩოები და მეთოდოლოგია

რესპონდენტებს საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება შემდეგ თემებზე შევთავაზეთ:

- კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური გადაჭრის არარსებობის პირობებში მეორე მხარის ბიზნესებთან უშუალო ურთიერთობების პოლიტიკური მისაღებობა და მიზანშეწონილობა.
- ქართულ და აფხაზურ კომპანიებს შორის ბიზნეს კავშირების დამყარების კანონიერება და მისაღებობა, როდესაც ერთ-ერთი ან ორივე კომპანია რუსეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ოფიციალურადაა დარეგისტრირებული.
- ქართული კომპანიები, რომლებიც რუსულ კომპანიებთან ბიზნესს აწარმოებენ (ქართველი რესპონდენტებისთვის)
- ისეთი დროებითი რეგლამენტის შემუშავების კონცეფცია, რომელიც კონფლიქტის ორივე მხარის კერძო კომპანიების „ენგურის კარიბჭის“ გავლით ბიზნეს ურთიერთობებში ჩართვას შეუწყობდა ხელს.
- ურთიერთთანამშრომლობა ენგურჰესის მაგალითზე
- ბიზნეს საქმიანობს ნორმატიული-სამართლებრივი მოდელის პრაქტიკული ასპექტები, რაც მოიცავს მიდგომებს მოდელის შემუშავების, მოლაპარაკებების და განხორციელებისადმი, მისი რეალიზაციის მექანიზმების შემუშავებას, ორივე მხარის სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალიებთან შესაბამისობას, ისევე როგორც გადასახადებთან, უშიშროებასთან, მონიტორინგთან და ინფორმაციის მიმოცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს
- სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვა ორივე ტერიტორიაზე
- პროგრესი ქენევის დისკუსიების ფარგლებში
- საქართველოს კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (მიღებულია 2008 წელს) ზეგავლენას ბიზნეს სტრუქტურების მოტივაციაზე „ენგურის კარიბჭის“ გავლით ურთიერთობასთან დაკავშირებით და ამ პროცესის პრაქტიკულ ასპექტებზე.

2018 წლის ივნის-ივლისში არსებული და ყოფილი პოლიტიკოსების, საჯარო მოხელეების, საზოგადოებრივი აზრის ლიდერების და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების სიღრმისეული სტრუქტურირებული გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხვები საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ და პროფესიონალურ სეგმენტებს წარმოადგენდნენ: საბაჟოს, სამართალდამცავი ორგანოების, პროფკავშირების, უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემის, ჯანდაცვის, ეკონომიკის, ელექტროენერგეტიკის და კომერციული სტრუქტურების თანამშრომლები. თითოეული მხარიდან 15 რესპონდენტი გამოიკითხა. აფხაზეთის წარმომადგენელი ზოგიერთი ექსპერტი ამავდროულად ადგილობრივ ბიზნეს საზოგადოებასაც წარმოადგენდა, თუმცა ისინი გამოკითხვაში სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების სტატუსით მონაწილეობდნენ.

მიღებული ხარისხობრივი მონაცემები იმის საშუალებას გვაძლევს, რომ გავაანალიზოთ, რატომ ფიქრობენ ადამიანები ასე თუ ისე, მაგრამ შეუძლებელია მათი მეშვეობით იმის დადგენა, რა პროცენტი იზიარებს ამა თუ იმ პოზიციას, ფასეულობებს ან ემოციებს. „პირისპირ“ გამოკითხვა ინფორმაციის შეგროვების ფასეული მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს რესპონდენტებს, დასაბუთებული არგუმენტები ჩამოაყალიბონ, დაგროვილი გამოცდილება გაიზიარონ

და გულახდილად ისაუბრონ. განსახილველი საკითხის პოლიტიკური სენსიტიურობის გათვალისწინებით, ყველა მონაწილემ კონფიდენციალურობის და ანონიმურობის გარანტია მიიღო.

გამოკითხვის მონაცემები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებს და სამთავრობო დოკუმენტებს შედარდა.

3. ძირითადი დასკვნები

კონფლიქტის მხარეებს სრულიად განსხვავებული პოზიციები აქვთ კონფლიქტის ხაზის გადაღმა ბიზნეს ურთიერთობების პოლიტიკური მისაღებობის (შესაბამისი პირობების განსაზღვრის და მათი შესრულების თანმიმდევრობის ჩათვლით) და პრაქტიკული მიზანშეწონილობის თაობაზე.

ორივე მხარე თანხმდება იმაზე, რომ მშვიდობა ვერ იქნა მიღწეული.

ამასთან, რესპონდენტები საქართველოსა და აფხაზეთში გასაოცარ კონტრასტს ამჟღავნებენ კონფლიქტის ტრაექტორიის და ამჟამინდელი ფაზის შეფასებისას, ისევე როგორც კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარეების შემადგენლობის და იერარქიის გააზრებისას.

აფხაზი³ რესპონდენტების აზრით, აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი – ოფიციალურადაა აღიარებული გაეროს წევრი ხუთი სახელმწიფოს მიერ (რუსეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა, ნაურუ და სირია) – არ ექვემდებარება გადასინჯვას, და გამოთქვამენ იმედს, რომ მომავალში დამოუკიდებლობის აღიარებული ქვეყნების რაოდენობა გაიზრდება. მათთვის ეროვნული თვითგამორკვევის საბოლოო მომენტი 2008 წელს დადგა, როდესაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა. ეს აღქმული იქნა, როგორც 1993 წელს ასეთ ძვირ ფასად მიღწეული გამარჯვების და შემდგომი, 1994 წლის რეფერენდუმის პოლიტიკური აღიარების დიდი ხნის ნაბიჯი აქტი. აფხაზური მხარის თანახმად, დავა საქართველოსთან აფხაზეთის სტატუსის შესახებ გადაჭრილია, და გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევის გზაზე ერთადერთ დაბრკოლებას საქართველოს მხრიდან სამხედრო ძალის არგამოყენების ვალდებულების კისრებაზე და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმა წარმოადგენს. აფხაზეთის მოქალაქეებისთვის 1992-1993 წლების ომი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩარჩოებში არდაბრუნების შეუქცევად წერტილს წარმოადგენს⁴. საქმიანი წრეების, პოლიტიკის, საჯარო სამსახურების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აფხაზეთის სტატუსს მყარად დაფიქსირებულ, უცვლელ მოცემულობად განიხილავენ. ეს დასკვნა შეესაბამება კვლევის შედეგებს, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პროექტის მაღალ ლეგიტიმაციას გვიჩვენებენ, თუმცა აფხაზეთის ხელმძღვანელობას შეიძლება ამავდროულად საკმაოდ დაბალი ლეგიტიმაცია გააჩნდეს⁵. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფხაზები შეიძლება კრიტიკულად იყვნენ განწყობილი საკუთარი მთავრობის მოღვაწეობის მიმართ, მაგრამ ეს არანაირად არ უარყოფს მათ რწმენას დამოუკიდებლობაში.

2008 წლის ომმა და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ საქართველოსთვისაც ახალი რეალობა მოიტანა: ნაციონალისტური სექსისის (გამოყოფის) დისკურსი გარეშე ოკუპაციის დისკურსმა ჩაანაცვლა. ამ მომენტიდან დეოკუპაციას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში რე-ინტეგრაციასთან შედარებით პირველხარისხოვანი და ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა დღის წესრიგში ეს

3 აფხაზეთის გალის რაიონში (სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად ქართველები წარმოადგენენ) მცხოვრები მეწარმეები ხშირად ცდილობენ თავი შეიკავონ აფხაზეთის სტატუსის ერთმნიშვნელოვანი შეფასების გამოთქმისაგან და, ამის სანაცვლოდ, მშვიდობის მიღწევისა და ორმხრივი ურთიერთობების მკაფიო და გასაგები წესების ჩამოყალიბების საჭიროების შესახებ საუბრობენ. ამის გამო, წინამდებარე კვლევაში ჩვენ აფხაზეთის სტატუსის მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი შეფასებით შემოვიფარგლეთ.

4 2008 წლამდე ორივე მხარის, ისევე როგორც გარეშე ექსპერტების მიერ შემუშავებული იქნა სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რამდენიმე მოდელი. მათ შორის იყო ფედერაცია, კონფედერაცია და საერთო სახელმწიფოც, თუმცა ვერცერთმა მათგანმა ვერც ერთი და ვერც მეორე მხარის მოწონება ვერ დაიმსახურა.

5 K. Bakke, A., Linke, J., O'Loughlin, and G. Toal, External patrons, violence, and internal legitimacy in de facto states, *Political Geography*, 9 May 2014, <http://web.isanet.org/Web/Conferences/FLACSO-ISA%20BuenosAires%202014/Archive/837185f4-5672-4886-b0b6-016c374a8f88.pdf>

უკანასკნელიც რჩება. 2008 წლიდან რუსეთის სამხედრო მონაწილეობა და აფხაზეთის მიმართ მისი პატრონისტული დამოკიდებულება კონფლიქტის ორი მხარის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს შორის თანამშრომლობის გზაზე თუ ერთადერთ არა, ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად მაინც განიხილება.

შედეგად, აფხაზებს და ქართველებს სრულიად განსხვავებული შეხედულებები ჩამოუყალიბდათ იმასთან დაკავშირებით, რა უნდა გაკეთდეს, ვის მიერ, როგორია სტაბილური მშვიდობის მშენებლობის დროითი ჩარჩოები, და როგორ შეიძლება კონფლიქტის მხარეებს შორის ბიზნეს ურთიერთობების განვითარება პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი გახდეს.

აფხაზური მხარისთვის პირველ ადგილზე საქართველოს კონკრეტული ნაბიჯები დგას. ნაბიჯები, რომლებიც უშიშროების და პოლიტიკურ სფეროებში გარანტიებს შექმნიდა, რის მერეც უკვე ურთიერთობების აწყობის და მათი წესების შემუშავების პროცესების წამოწყება იქნებოდა შესაძლებელი. ძალზედ იშვიათი გამონაკლისების გარდა, აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები თავს იკავებენ ქართულ მხარესთან რაიმე სახის კონტაქტებისაგან, სანამ ეს უკანასკნელი, მინიმალური აუცილებელი პირობის სახით, არ მოახდენს სამხედრო ძალის არგამოყენების პრინციპისადმი ერთგულების დემონსტრირებას. პოპულარულია მოსაზრება, რომ თბილისი, მოსყიდვის მიზნით, აფხაზური ბიზნესის წარმომადგენლებს სხვადასხვა შეღავათებს სთავაზობს და პოტენციური სარგებლით იზიდავს. ზოგიერთი რესპონდენტი იმაზეც კი წუხდა, რომ ქართველები, ენგურის საზღვარზე საქონლის გადატანის საფარის ქვეშ, შესაძლებელია, სადაზვერვო მონაცემებს აგროვებდნენ.

ენგურის საზღვრის გადაღმა ბიზნეს საქმიანობის ლეგალიზაციის დროებითი წესების მხარდაჭერის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას აფხაზი პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და სამოქალაქო საზოგადოება აღიქვამენ, როგორც პრობლემურს და ნამდვილად არ მიიჩნევენ მას გადამწყვეტ არგუმენტად ასეთი საქმიანი კავშირების პირობების უზრუნველყოფის სასარგებლოდ.

რუსეთის მიერ 2008 წელს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ აფხაზ მეწარმეებს საქართველოს მიერ განხორციელებული არაღიარების პოლიტიკისთვის გვერდის ავლის და ეკონომიკური იზოლაციის მარწმუნებელიდან თავის დაღწევის ახალი შესაძლებლობები შეუქმნა. ქართულ მეწარმეებთან საქმიანი კავშირების ან მისი ტერიტორიის გავლით სავაჭრო ოპერაციების განხორციელების მოწინააღმდეგენი თავის პოზიციებს იმით ამყარებენ, რომ აფხაზურ ბიზნესს ხელი გასაღების სხვადასხვა ბაზრებზე რუსეთის გავლით მიუწვდება და მისი გავლითვე შეუძლია ნედლეულის შემოტანა; აგრეთვე შესაძლებელია ბიზნესის რუსეთში დარეგისტრირება. ორივე შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სრულიად კანონის ფარგლებში მოქმედება, მაშინ, როდესაც საქართველოს გავლით საქმიანი ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები გაუმართლებლად მაღალია.

სინამდვილეში, რუსეთთან ურთიერთობაში საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ამის წარმოჩენა ზოგიერთს სურს, თუმცა ცოტა ვინმე თუ არის მზად გაანხილავს სერიოზული პრობლემები, რომლებიც ამგვარმა კავშირმა შეიძლება აფხაზურ ბიზნესს შეუქმნას. რუსეთზე, როგორც უშიშროების გარანტზე, ინვესტორზე, საქონლის გასაღების ბაზარზე და ბიზნეს შუამავალზე დამოკიდებულება ჯერ-ჯერობით სრულიად შეესაბამება აფხაზეთის საქმიანი წრეების ამჟამინდელ ამბიციებსა და შესაძლებლობებს, მათი ბიზნეს ამოცანების მასშტაბების ფარგლებში: ოცწლიანი პრაქტიკულად სრული იზოლაციის, სიდუხჭირის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დომინირების შემდეგ რუსეთის მიერ უზრუნველყოფილი შესაძლებლობების ფანჯრები უსაზღვრო შესაძლებლობების შეგრძნებას აჩენს. მიუხედავად ამისა, ასეთი დამოკიდებულება

აფხაზეთს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით მოწყვლადს ხდის, განსაკუთრებით თანამედროვე გეოპოლიტიკის ვექტორების და პრიორიტეტების ხშირი ცვალეზადობის პირობებში. მაგალითად, აფხაზეთის და თურქეთის ბიზნეს სტრუქტურებს შორის თევზჭერის სფეროში თანამშრომლობის კარგად ჩამოყალიბებული და სანდო მოდელის არსებობის მიუხედავად, აფხაზეთი, საკუთარი თევზსაჭერი ფლოტის არყოლის გამო, 2015 წელს იძულებული გახდა შეერთებოდა რუსეთის სანქციებს თურქეთის წინააღმდეგ, და უარი ეთქვა ამ უკანასკნელისგან გემების იჯარით აღებაზე. რუსეთის მხარემ მხოლოდ ნაწილობრივ გადაფარა აფხაზეთის მოთხოვნილება თევზსაჭერ გემებზე, რამაც აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული თევზის გადამამუშავებელი ქარხნები წამგებიანი გახადა, რადგან ისინი ვერ ახერხებდნენ პროდუქციის გამომუშავების მინიმალურად დასაშვებ დღიურ ნორმის შენარჩუნებას⁶. ხშირია რუსეთის მხრიდან ციტრუსების და თხილის ექსპორტზე შეზღუდვების ცალმხრივად დაწესების შემთხვევები; ტურისტული სეზონის დროს ვრცელდება ინფორმაცია აფხაზეთში ცუდი კრიმინოგენული სიტუაციის არსებობის შესახებ, რაც ხშირად გადაჭარბებას წარმოადგენს. ყოველივე ეს არამრავალრიცხოვან ექსპორტიორ კომპანიებსა და აფხაზეთის საქმიანი საზოგადოების წარმომადგენლებში შემფოთების გრძობას იწვევს; მიუხედავად ამისა, არცერთი მათგანი არ არის მზად ღიად გამოამჟღავნოს თავისი უკმაყოფილება რუსეთთან ჩამოყალიბებული „პატრონი-კლიენტი“ ტიპის ურთიერთობებით.

თანამოსაუბრეთა ნაწილმა ეჭვს ქვეშ დააყენა ქართველ პარტნიორებთან ბიზნეს კავშირების განვითარების მიზანშეწონილობა. მათი აზრით, აფხაზი მომხმარებელი დიდი ალბათობით ქართულ პროდუქციას ეჭვის თვალთ შეხედავს ან სულაც ბოიკოტს გამოუცხადებს, რაც ასეთ ბიზნესს ავტომატურად არარენტაბელურს გახდის. გამოკითხულთა მეორე ნაწილი აღნიშნავდა, რომ ახლაც კი სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობა აფხაზეთში საქართველოდან შემოდის, ქართული მარკირების გარეშე, რაც მომხმარებელზე მორალური ზეწოლის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობის პოტენციური სარგებელი, თუმცა ამ შემთხვევებშიც მიუთითებდნენ ასეთ ურთიერთობებთან დაკავშირებულ რისკებზე: მკაცრი კონტროლის და ანალიზის არარსებობამ შესაძლოა ავანტურისტულად განწყობილი ან უბრალოდ ხარბი მეწარმეები, და აფხაზეთის ეკონომიკის მთელ დარგებზე კი, საქართველოზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხაფანგში შეიტყუოს. ეკონომიკაში პროტექციონისტული მეთოდების მომხრეები დარწმუნებულნი არიან, რომ აფხაზეთის ბაზარზე ქართული პროდუქციისთვის გზის გახსნა განვითარებად ადილობრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და მომიჯნავე დარგებს ძირს გამოუთხრის, და რომ საჭიროა საიმპორტო კვოტების შენარჩუნება. ხოლო ეკონომიკის მართვის ლიბერალური მეთოდების მომხრეები თვლიან, რომ ერთადერთი მარეგულირებელი ბაზარი უნდა იყოს. მაგალითად, თუკი იმპორტირებულ პროდუქტზე მკაფიოდ არის მითითებული წარმოშობის ქვეყანა, მომხმარებელს სხვადასხვა ფაქტორზე (მათ შორისაა ფასი/ხარისხი თანაფარდობა და პოლიტიკური მოსაზრებები) დაყრდნობით შეუძლია არჩევანის გაკეთება.

ხოლო ისინი, ვინც ენგურის გადაღმა უკანონო ვაჭრობის მოწესრიგებასა და ლეგალიზაციაში სარგებელს (მაგალითად: სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლა, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და, შესაძლოა, აგრესიის დონის შემცირება და ორმხრივ ურთიერთობებში ნდობის გაღრმავება) ხედავენ, უკლებლივ აღიარებენ, რომ მათი თვალსაზრისი აფხაზეთში არაპოპულარულია და ვერცერთი პოლიტიკოსი ვერასოდეს გაბედავს მსგავსი წინადადებების გაჟღერებას, საყოველთაო მრისხანების და გაკიცხვის შიშით.

6 Russian fisherman start fishing in Abkhazian waters, Caucasian Knot, 25 December 2015, <http://www.kavkaz-uzel.eu/articles/275022/>

ქართველებისთვის პირველ ადგილზე ეტაპობრივი ქმედებების განხორციელება დგას. ეს ქმედებები მიმართული უნდა იყოს მხარეებს შორის ჰუმანიტარული და სოციალური კავშირების აღდგენისკენ და პიროვნულ დონეზე ნდობის გამყარებისკენ, პირველ რიგში აფხაზეთის მოქალაქეებსა⁷ და საქართველოს სახელმწიფოს შორის, საქართველოს რუსეთის მიმზიდველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ალტერნატივად ქვეყნის გზით. საქართველოს მოქალაქეებისა და პოლიტიკური წრეებისთვის პირველი რიგის ამოცანას ორი ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანა წარმოადგენს, რადგან ამ ძალების იქ ყოფნა ქვეყნის უშიშროებისა და დამოუკიდებლობისთვის მუდმივი მუქარის ფაქტორად აღიქმება. აგრეთვე მნიშვნელოვნად აღიქმება რუსეთის გავლენის ქვეშ გაეროს სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის პრევენცია. გამოყოფილი რესპუბლიკების საქართველოს შემადგენლობაში ინტეგრაცია განიხილება, როგორც გრძელვადიანი პროცესი, თუმცა არ არის განსაზღვრული რაიმე კონკრეტული ნიშნულები და არ არსებობს საბოლოო შედეგის მკაფიო ხედვა. რუსეთი აღიქმება, როგორც უდიდესი გავლენის მქონე მოთამაშე, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის ნებისმიერი პირდაპირი კავშირების აღდგენას ეწინააღმდეგება.

საქართველოს პოლიტიკურ და ექსპერტთა წრეებში საზოგადოებრივ აზრზე გავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იძლეობთ გადაადგილებული პირები („იგპ“) იმსახურებენ. მათ არ გააჩნიათ ერთიანი აზრი საქართველოსა და აფხაზეთს შორის ბიზნეს კავშირების განვითარების მისაღებობის და მიზანშეწონილობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი ამ პროცესს ეწინააღმდეგება, რადგან, მათი აზრით, ეს ცალმხრივი მოძრაობაა. ქართული მხარე აფხაზეთს უამრავ სარგებელს სთავაზობს (მაგალითად: საზღვარგარეთ განათლება ან უფასო სამედიცინო მომსახურება), ხოლო აფხაზეთის მხარე არანაირ საპასუხო ნაბიჯებს (მაგალითად: აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ბედის შემსუბუქება) არ დგამს. ქართული მხარის მიერ აფხაზეთისთვის მინიჭებული პრეფერენციები არანაირად არ ეხმარება საქართველოსთან მისი კავშირების გამყარებას, რის გამოც რე-ინტეგრაციის და დაბრუნების პერსპექტივები ბუნდოვანია. თუმცა, სხვა „იგპ“ პოლიტიკოსები და ოფიციალური წრეების წარმომადგენლები პირიქით, საკუთარ თავს შუამავლებს როლში ხედავენ, საკუთარი თავის ორივე საზოგადოებასთან იდენტიფიცირებას ახდენენ და სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ სიმწარეს ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების მომავლის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მოხდენის უფლებას არ აძლევენ. ისინი ერიდებიან მილიტარისტულ რიტორიკას და პირველ ადგილზე ურთიერთობების უპირობო და აუცილებელ ჰუმანიზაციას აყენებენ.

ცალკე აღწერას იმსახურებს ქართული მხარის მიერ რუსეთთან არსებული ბიზნეს კავშირების და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის შეფასება. ამჟამად არსებული პოლიტიკური პარადიგმის შესაბამისად, რუსეთი განიხილება, როგორც საქართველოს მოწინააღმდეგე; ამასთან, მთლიანობაში, რუსეთთან ბიზნეს კავშირი, მიუღებლად არ აღიქმება. არსებობს რამდენიმე კომპანია, რომელიც პრინციპული მოსაზრებების გამო უარს ამბობს რუსულ მხარესთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და რუსეთის ბაზარზე შესვლაზე. ზოგადად კი, გაბატონებულია მოსაზრება, რომ ბიზნესი ბიზნესია, და რომ რუსეთი ისეთივე ბიზნეს პარტნიორია, როგორც, მაგალითად, თურქეთი, ირანი ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა. ამ მოსაზრებას, რომელიც ეკონომიკისადმი ლიბერალურ მიდგომას ეფუძნება, და რომლის შესაბამისადაც ბაზარი პირველადაა, ხოლო პოლიტიკა მეორეა, საქართველოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყანად ითვლება, და იგი ძალიან უფროხილდება საკუთარ რეპუტაციას. ყველა ინვესტორთან და საქმიან პარტნიორთან თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა საქართველოს მთავარი საშუალებაა მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოებრიობის თვალში რუსეთის წინაშე

7 სხვა ეთნიკური ჯგუფები, გარდა ეთნიკური ქართველებისა, საკუთარ თავს აფხაზეთის პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილად აღიქვამენ, ამიტომ ავტორები ტერმინს „აფხაზეთის მოქალაქეები“ სოციალურ-პოლიტიკური და არა ეთნიკური მნიშვნელობით იყენებენ.

უპირატესობის მოსაპოვებლად. რუსეთი კი საქართველოსთან და, შემდგომში, უკრაინასთან ეკონომიკურ ურთიერთობებში ზეწოლის პოლიტიკურ ბერკეტებს იყენებს, რითაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდის ქვეშ ადრე მიღწეულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს არღვევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა უკვე დიდი ხანია დაკარგა თავისი დომინანტი ან პრივილეგირებული სტატუსი საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობებში⁸.

საქართველოს პოლიტიკური კლასი, ოფიციალური პირები და ელიტების წარმომადგენლები სხვადასხვანაირად უდგებიან რუსეთთან და აფხაზეთთან ბიზნეს ურთიერთობების დამყარების საკითხს. რუსეთი აღიქმება, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, მოწინააღმდეგე, თუმცა, ამასთანავე, რუსულ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობები კანონიერია და მოგებაც მოაქვს. აფხაზეთის მოსახლეობა მტერი კი არა, ნათესავია, მაგრამ, ამავდროულად, აფხაზეთის ბიზნესებთან ნებისმიერი სახის საქმიანი ურთიერთობა ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას და არ არის მომგებიანი. ამრიგად, რუსეთთან ბიზნესის წარმოების ძირითადი მიზანი მოგებაა, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში – ორ საზოგადოებას შორის ურთიერთობებში არსებული პოლიტიკური კლიმატის შეცვლა, რაც უნდობლობის და გაუცხოვების ნდობითა და თანამშრომლობით ჩანაცვლების საშუალებას მოგვცემს.

კონფლიქტის საზღვარს გადაღმა თანამშრომლობის ენგურჭესის ერთობლივი ექსპლუატაციის გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელი აქტუალობას კარგავს.

კერძო ბიზნესებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მასტიმულირებელი მოდელის შემუშავების პროცესში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ასეთი ურთიერთობის ერთადერთ არსებულ მაგალითს – ენგურჭესს. მიუხედავად ამ საწარმოს უნიკალური ხასიათისა, რომელიც არსებობას განაგრძობს მხოლოდ იმიტომ, რომ თანამშრომლობის შეწყვეტა უბრალოდ შეუძლებელია (ანუ, სინამდვილეში ეს კომერციული პროექტი არც კია), იგი ძალიან მნიშვნელოვან გაკვეთილებს გვაძლევს, გაკვეთილებს, რომლებიც კონფლიქტის საზღვრის გადაღმა ბიზნეს კავშირების განვითარების პროცესში შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს.

ენგურჭესის აღქმა, როგორც იმის უნიკალური მაგალითისა, რომ ქართველებმა და აფხაზებმა შეძლეს გვერდზე გადაედოთ უთანხმოება და გაეერთიანებინათ ძალისხმევა ორივე მხარისთვის საინტერესო და უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად, შეიძლება მალე გაქარწყლდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრისთვის ჰესზე თანამშრომლობა „თუ ნება არსებობს, გზაც მოიძებნება“ პრინციპის საუკეთესო მაგალითია, კრიტიკული ხმები უკვე ორივე მხრიდან ისმის. ამასთან, მხარეების კრიტიკა სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული.

ენგურჭესზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მხარდამჭერი არგუმენტები სულ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი ხდება ქართული მხარისთვის. იგი ყურადღებას აქცევს სამართლიანობის და თანაწორ-უფლებიანობის პრინციპის დარღვევას ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც ქართველი მომხმარებლის ხარჯზე გაწეული საქველმოქმედო დახმარება, რადგან მთელი ფინანსური ტვირთი სწორად ამ უკანასკნელს აწევა.

1997-1998 წლებში მიღწეული ზეპირი შეთანხმებები, რომელთა თანახმად საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის მიწოდება 40/60 თანაფარდობით უნდა ნაწილდებოდეს აფხაზეთსა და საქართველოს შორის, შესაბამისად, უკანასკნელ წლებში მრავალჯერ დაირღვა აფხაზეთის მხარის მიერ მის ტერიტორიაზე ელექტროენერჯის მოხმარების დონის ზრდის გამო. კომპანია „ჩერნომორენერგო“, ენგურჭესის ექსპლუატაციის სქემის პარტნიორი აფხაზეთის

8 National Statistics Office of Georgia, External merchandise trade in Georgia 2017, 22 January 2018, http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/FTrade__2017_ENG-with%20cover.docx.pdf

მხრიდან, ვერ ახერხებს ელექტროენერჯის საფასურის სრული მოცულობით ამოღებას, რის გამოც აფხაზეთის მოსახლეობის დავალიანებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი ქრონიკულად წაგებაზე მუშაობს. როდესაც ელექტროენერჯია უფასოა, მას არავინ უფროთხილდება. ამას გარდა, აფხაზეთის მხარეს გადამცემი ინფრასტრუქტურა იმდენად მოძველებულია, რომ ადგილი აქვს მასობრივ დანაკარგებს⁹. გარდა ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო მიზნებით დიდი რაოდენობით მოხმარებისა, მოვლენებმა, რომლებმაც 2008 წლის შემდეგ აფხაზეთის ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატი შეცვალა, მოხმარების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. პირველ რიგში გაიზარდა მოხმარება რემონტზე და მშენებლობებზე, ტურისტების (რომელთა რაოდენობა ზაფხულის სეზონზე, აფხაზეთის მონაცემებით, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას 3-4-ჯერ აჭარბებს) საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ამას გარდა, ელექტროენერჯის რუსეთის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი მოიხმარს, რაც ქართული მხარის უკმაყოფილებას იწვევს. შედეგად, აფხაზეთის მხარისთვის თავდაპირველად განსაზღვრული 40%-იანი კვოტა რეალობაში 50%-მდე გაიზარდა, და გარკვეულ პერიოდებში 95%-საც კი აღწევს.

ქართული მხარე იძულებულია საკუთარი მხარდი დეფიციტის დასაფარად ელექტროენერჯია რუსეთიდან შემოიტანოს. საქართველო, აგრეთვე, ელექტროენერჯის რუსეთიდან აფხაზეთში მიწოდების თანადადამფინანსებელია: ყოველი მიწოდებული კვტ-ს საფასურის 9/10-ს რუსეთი ფარავს, ხოლო 1/10-ს – საქართველო¹⁰. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფი მოსახლეობისთვის 0,6 ცენტია, ხოლო საჯარო საწარმოებისათვის – 0,9 ცენტი, მაშინ როდესაც საქართველოს მოხმარებლები იძულებულნი არიან 5-9 ცენტი გადაიხადონ¹¹, ქართულ მხარეს აქვს იმის საბაბი, რომ სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით ეჭვს ქვეშ დააყენოს ენგურჰესის, როგორც ორ მხარეს შორის თანამშრომლობის მაგალითის, მიზანშეწონილობა.

გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, ენგურჰესის ექსპლუატაცია ქართულ მხარეს აგრეთვე პოლიტიკური შინაარსის შეკითხვებს აღძრავს. ექსპერტთა ნაწილის აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული მოხმარების ზრდა და კვოტების შესახებ შეთანხმების დარღვევა შეიძლება განხილული იქნას, როგორც საფრთხე საქართველოს ეროვნული უშიშროებისთვის, რადგან შექმნილი სიტუაცია ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას ელექტროენერჯის რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტზე¹². აფხაზეთის მხარეს ელექტროენერჯის მოხმარების მკვეთრი ზრდა აგრეთვე საშიშროებას უქმნის წყალსაცავიდან წყლით მომარაგების სტაბილურობას, რადგან წყლის დონის წინასწარ განსაზღვრულ მინიმალურ ნიშნულებამდე ჩამოსვლის შემთხვევაში ჰესი წყვეტს ფუნქციონირებას.

„კონსტრუქციული გაურკვევლობის“ სტატუსი არც აფხაზეთის მხარისთვისაა ერთმნიშვნელოვნად მისაღები ან სანდო. 2015 წელს, მას შემდეგ, რაც კომპანია „ჩერნომორენერჯომ“ ენგურჰესზე საკუთრების უფლებების გადაწოდების თაობაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ განაცხადა, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ¹³ ძალიან მკაფიოდ განმარტა, სად გადის „წითელი ხაზები“: ჰესი საქართველოს მთავრობის საკუთრებაა და სწორედ ეს უკანასკნელი ახორციელებს ობიექტის სრული მოცულობით დაფინანსებას, საკუთარი მოქალაქეების (მათ შორის იმ

9 Басария о переходе на электричество из России: тарифы не изменятся [ბასარია რუსეთიდან ელექტრომომარაგებაზე გადასვლის შესახებ: ტარიფები არ შეიცვლება], Sputnik, 31 January 2017, <https://sputnik-abkhazia.ru/radio/20170131/1020329235/basariya-o-perexode-na-elektrichestvo-iz-rossii-tarif-ne-izmenyatsya.html>; Абхазия стала полностью обеспечиваться электроэнергией [აფხაზეთის ელექტროენერჯით სრულად მომარაგება დაიწყო], Eurasia Daily, 16 February 2016, <https://eadaily.com/ru/news/2016/02/16/abhaziya-stala-polnostyu-obespechivatsya-elektroenergiy>

10 G. Dvali, V. Dzaguto, P. Tarasenko, T. Dyatel, Абхазии грозит энергодефицит [აფხაზეთს ენერგოდეფიციტის საფრთხე ემუქრება], Kommersant, 23 April 2018, <https://www.kommersant.ru/doc/3612218>

11 Потребительские тарифы электроэнергии [ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფები], Telasi, <http://www.telasi.ge/ru/customers/tariffs>, შეფასებულია 2018 წლის 18 სექტემბერს

12 M. Margvelashvili, ენგურჰესი და აფხაზეთის ენერგომომხმარება – ენერჯეტიკული და ეროვნული უშიშროების გამოწვევა [The Inguri hydropower plant and Abkhazia's energy consumption - energy and national security challenge], 2017, <http://weg.ge/sites/default/files/abkhazia-final-1.pdf>

13 2018 წლიდან ენერჯეტიკის სამინისტრო გაუქმდა და მისი ფუნქციები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა

მოქალაქეების, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ამჟამად არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (ცხოვრობენ) ელექტროენერგიით სრულფასოვნად მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. აფხაზეთის ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ ჰქვია აფხაზეთის საკუთრებას წარმოადგენს¹⁴. სინამდვილეში, საწარმოს აქციების 100% საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ამ აქციების ფასეულობა წმინდად სიმბოლოურია, რადგან კომპანიის მესაკუთრის შესახებ მოლაპარაკებებში შექმნილი საპატიო სიტუაციის გამო მათი გაყიდვა ან რაიმე გარიგებებისთვის გამოყენება შეუძლებელია.

აფხაზი რესპონდენტები ენგურჰესის ექსპლუატაციის მოდელს ეჭვს ქვეშ არ აყენებენ, და სრულად დაკმაყოფილებული არიან მისი შედეგებით: ძალიან ცოტა ინტერესდება ამ პროცესის დეტალებით. უმრავლესობა თვლის, რომ პრინციპმა „თუ ნება არსებობს, გზაც მოიძებნება“ მართლაც იმუშავა მოცემულ სიტუაციაში. მათ სჯერათ, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ შექმნის ელექტროენერგიის გენერაციის და განაწილების საკუთარ ინფრასტრუქტურას, და რუსეთი ამ პროექტის განხორციელების დაფინანსების ბუნებრივ და ერთადერთ წყაროთ მიაჩნიათ. ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ამჟამადაც საკუთარი ჯიბიდან ფარავს ელექტროენერგიის დეფიციტს.

აფხაზეთი საქართველოზე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული ენგურჰესის გამართულ მუშაობაზე, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის ელექტროენერგიის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, და მის მუშაობაში შეფერხებებს კატასტროფული შედეგების მოტანა შეუძლია. ამჟამად მცირე ჰესების ან ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროების მშენებლობაში ინვესტირების პერსპექტივები ბუნდოვანია. რუსეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი ფინანსები გადამცემი ინფრასტრუქტურის მიმდინარე რემონტის და მოდერნიზების ხარჯების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ფარავს, სხვა ინვესტირების პოვნა კი, ჯერ ვერ ხერხდება. გადამცემი ქსელის განახლებაში ან მოხმარების ეკონომიის უზრუნველყოფისთვის მრიცხველების დამონტაჟებაში ინვესტირების რესურსები აგრეთვე არასაკმარისია. აფხაზეთის გადამცემ ქსელებში ჩადებული ნებისმიერი ინვესტიცია ბუნებრივად გაზრდის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს, ან, საფასურის არასრულად ამოღების შემთხვევაში, აფხაზეთის ბიუჯეტს დაარტყამს, რაც შეიძლება ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სერიოზული პრობლემა გახდეს. შესაბამისად, გარეშე ინვესტიციების სტიმულირებამ, არსებული პრობლემების გადაჭრის მაგივრად, შეიძლება მათი გამძაფრება გამოიწვიოს. ეს საბოლოოდ შეკრავს აფხაზეთის ენერგეტიკული კრიზისის მანკიერ წრეს.

ენგურჰესის ერთობლივი ექსპლუატაციის სფეროში თანამშრომლობის მაგალითიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ. პირველ რიგში, კონფლიქტის საზღვრის გადაღმა ბიზნეს სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ორგანიზების ნებისმიერი ინციატივა სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს. კონფლიქტის მხარეებს შორის არსებული უნდობლობის ხარისხის (რომელსაც ხშირად კიდევ უფრო ამძაფრებს საკუთარი ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობა) გათვალისწინებით, ჭორებმა და პოლიტიკურმა მაქინაციებმა შეიძლება სრულად ჩაკლან თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების სული. მეორე რიგში, შეუძლებელია თანამშრომლობის თავდაპირველი მოდელის უსასრულოდ გამოყენება, რადგან ორივე მხარის საჭიროებები შეიძლება შეიცვალოს, მხარეების ნებით ან უნებლიედ. ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს, ახალ ინფრასტრუქტურას, ბუნებრივი პროცესებით, ადამიანის საქმიანობით ან პოლიტიკური ტურბულენტობით გამოწვეულ ლანდშაფტის ცვლილებებს შეუძლიათ შეამცირონ იმ პრინციპების მნიშვნელობა და მნიშვნელოვნება, რომელთა საფუძველზეც ამჟამად ენგურჰესის ექსპლუატაცია ხორციელდება. მეორეს მხრივ, შეთანხმებების გადახედვა შეიძლება სარისკო იყოს, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც სამშვიდობო პროცესი წარუმატებელია, სტაგნაციის

14 N. Akhmeteli, Как Грузия и Абхазия делят Ингурскую ГЭС [როგორ იყოფენ საქართველო და აფხაზეთი ენგურის ჰესს], BBC Russian Service, 9 March 2017, <https://www.bbc.com/ukrainian/features-russian-39224152>

პროცესში ან არც კი დაწყებულა. და მესამე რიგში, თუკი ასეთი შეთანხმებებში – გააზრებულად, შემთხვევით ან ბოროტი განზრახვით – დისპროპორციის ელემენტებია შეტანილი, და ასეთი დისპროპორცია ერთ-ერთი მხარის მიერ აღქმება, როგორც უსამართლობა, ეკონომიკურ კრიზისს, ელექტროენერჯის ფასების ზრდას ან მორიგ პოლიტიკურ მაქინაციებს შეუძლიათ საზოგადოებაში აფეთქება გამოიწვიონ და ურთიერთქმედების აქამდე არსებულ სქემას ხაზი გადაუსვან.

მხარეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ „ენგურის კარიბჭის“ გადაღმა ბიზნეს-საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს იდეას და მათ მიერ ამ იდეის მხარდაჭერის დონეებიც განსხვავებულია.

ქართველი პოლიტიკოსების, ოფიციალური პირების და ექსპერტების დიდი ნაწილი ენგურის საზღვრის გადაღმა გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნეს ურთიერთობების იდეას მხარს უჭერს და ემხრობა ისეთი საგანგებო რეგლამენტის შემუშავებას, რომელიც მსგავსი კონტაქტების განვითარებას ხელს შეუწყობს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ასეთი ნაბიჯი დიდი ხანია მომწიფდა და დადებითად იქნება აღქმული როგორც საზოგადოების, ასევე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ. სხვები ამტკიცებენ, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური დაპირისპირება, რომელშიც ქვეყნის ორი ძირითადი პოლიტიკური პარტია და იგპ-ის რადიკალურად განწყობილი ორგანიზაციები მონაწილეობენ, მაღალი ალბათობით შეიძლება დესტრუქციული ფაქტორი გახდეს. გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ერთის მხრივ, რუსეთი მთავარ ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთს აფხაზეთში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ფაქტიურად უსაზღვრო ზეგავლენა გააჩნია. შესაბამისად, კონფლიქტის საზღვრის გადაღმა ბიზნეს ურთიერთობების სტიმულირების შესახებ ნებისმიერი მოლაპარაკებების მონაწილეები უნდა დარწმუნდნენ, რომ რუსეთი ამის წინააღმდეგი არ იქნება.

რესპონდენტთა მცირე ნაწილმა სადავო საზღვრის გადაღმა ბიზნეს საქმიანობის იდეას ოპონირება გაუწია. მათი აზრით, ყველაზე სანდო გზა იმ ადგილობრივი ინიციატივებისთვის და მცირე ბიზნესებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა იქნება, რომელთა ძალისხმევაც ადგილობრივი, პირველ რიგში საზღვრისპირა მოსახლეობის (ძირითადად ეთნიკურად ქართველები) საჭიროებების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული. კონფლიქტისგან დაზარალებულ რეგიონებში ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროექტების გამოისობით, ამ იდეის საწინააღმდეგო არც აფხაზეთ და არც ქართულ მხარეს გააჩნია რამე, და თან არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი თვალსაზრისით, თუმცა აფხაზეთში საერთაშორისო დახმარების ფართოდ პოპულარიზაცია არ ხდება. მათი აზრით, კონფლიქტის საზღვრის გადაღმა ბიზნეს ურთიერთობების მხარდაჭერის კიდევ ერთი საშუალებაა, უბრალოდ ხელი არ შევუშალოთ მოქალაქეებს აწარმოონ ბიზნესი საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი რისკით. კანონის თვალსაზრისით, ასეთი არარეგისტრირებული ბიზნესის წარმოებაში ხელის შეწყობა კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ დებულებების პირდაპირი დარღვევა იქნება. მეორეს მხრივ, საქმიანი კავშირების განვითარება და გამყარება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ჩართულობის პოლიტიკის ჩარჩოებში სრულად ექცევა. სამართლებრივი გაურკვევლობა და ამ საქმიანი ოპერაციების სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართული მოსახლეობისთვის ენგურის გადაღმა ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. აფხაზეთის მხრიდან სწორედ ბაზარი განსაზღვრავს კონტრაბანდული საქონლის მოცულობებს და მისი ნაკადების მიმართულებას. რადგანაც გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის კონტრაბანდული ვაჭრობა შემოსავლის ძირითად, თუ არა ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, არსებული სტატუს-კვოს ნებისმიერი ცვლილება შესაძლებელია სწორედ მათ მდგომარეობაზე აისახოს ნეგატიურად. ამას გარდა, ასეთი საქმიანი

კავშირების არაოფიციალურმა ხასიათმა შეიძლება ადგილობრივი აფხაზი მეწარმეების ნაწილს შემოსავლების მიღების ამ შესაძლებლობის გამოყენებისკენ უბიძგოს. ქართული მხარის ის წარმომადგენლები, რომლებიც ენგურის გადაღმა ბიზნეს საქმიანობის ნორმატიული რეგულირების წინააღმდეგ გამოდიან, ვარაუდობენ, რომ აფხაზი მეწარმეების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი (თუკი ასეთი საერთოდ მოიძებნა) იქნება მზად ღია საქმიანი ურთიერთობები დაამყაროს ქართველებთან.

ქართველ რესპონდენტებს მრავალი იდეა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ ვინ, მათი აზრით, შეილება წამოიწიოს მარეგულირებელი მოდელის შესახებ დისკუსია. პასუხების ვარიანტები მოიცავდა საქართველოს მთავრობას, აფხაზეთის ხელმძღვანელობას, ორივე მხარის სავაჭრო-სამრეწველო პალატას, საერთაშორისო ორგანიზაციებს (სასურველია ეს ევროკავშირი იყოს), გერმანიას ან საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტის მქონე პირებს, მაგალითად, ნოზელის პრემიის ლაურეატებს.

აფხაზი პოლიტიკოსები, ოფიციალური პირები და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე პირები, როგორც წესი, საქართველოსთან საქმიანი ან სხვა სახის კონტაქტების ნებისმიერი იდეის წინააღმდეგი არიან. ზოგი მათგანი ამის პრინციპში წინააღმდეგია, ზოგიერთი კი, მანამდე, სანამ საქართველო აფხაზეთთან ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარს არ იტყვის. თუმცა მათ უყვართ იმის ხაზგასმა, რომ ეს იდეები ჯერ-ჯერობით მხოლოდ იდეებია და მეტი არაფერი, ზოგიერთმა მათგანმა მაინც გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები ასეთი ჰიპოთეტური მოდელის შემუშავების შესაძლო პრაქტიკული ასპექტების შესახებ. გამოკითხულთა ნაწილის აზრით, მისი შემუშავების ინიციატივა საქართველოს ან რუსეთის მხრიდან უნდა მოდიოდეს, მაგრამ თავად მოდელი ყველა მხარის წარმომადგენელმა ექსპერტებმა უნდა შეიმუშავონ, ხოლო მოლაპარაკებების პროცესი გარეშე შუამავლის, სასურველია რუსეთის ან მათი ნდობის მქონე სხვა მხარის მონაწილეობით უნდა მიმდინარეობდეს. სხვა რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ინიციატივა აფხაზეთის მთავრობისგან უნდა მომდინარეობდეს: მას, ენგურის საზღვარზე შესაბამისი საბაჟო კონტროლის დანერგვის შემდეგ, შეუძლია დაუყოვნებლივ დაიწყოს ექსპორტზე და იმპორტზე მიმავალი საქონლის დამუშავების პროცესი, ქართული მხარის რეაქციის მხედველობაში მიღების გარეშე. გამოკითხვის ყველა აფხაზმა მონაწილემ ხაზი გაუსვა იმას, რომ მარეგულირებელი მოდელის შესახებ ნებისმიერი დიალოგი თანასწორობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.

წინადადებამ სპეციალური ეკონომიკური ზონის შესახებ დიდი ენთუზიაზმი ვერ გამოიწვია. ზოგიერთი, ადრინდელი წარუმატებელი მცდელობების გათვალისწინებით, ამ იდეას არარეალურად მიიჩნევს, ხოლო სხვები უპირატესობას ისეთი მკაფიო წესების ჩამოყალიბებას ანიჭებენ, რომლებიც პირდაპირი ოპერაციების განხორციელების საშუალებას შექმნის. ისინი, ვინც თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგია, ურთიერთობის ნებისმიერი სპეციალური ზონების ჩამოყალიბების იდეას უარყოფენ.

რესპონდენტები, მიუხედავად იმისა რომ ელოდნენ წარმომადგენლებს, მზად არ იყვნენ პოტენციური მოდელის ტექნიკური ასპექტების, მაგალითად, დაბეგვრის რეჟიმის, განსახილველად და არ ისურვებს ამ საკითხზე საკუთარი შეხედულებების გამჟღავნება. ისინი პოლიტიკური პირობების, რისკების და „წითელი ხაზების“ განსაზღვრით შემოიფარგლნენ. შესაძლოა, რესპონდენტების ნაწილს მოეჩვენა, რომ პოტენციური მოდელის ნიუანსების განხილვამ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს ისინი ამით იმ პრობლემის მნიშვნელოვნებას აკნინებენ, რომელიც მათი ქვეყნის წინაშე დგას, ან რომ ისინი, პოტენციური თანამშრომლობის შესახებ ამწუთიერი გადაწყვეტილებების სასარგებლოდ, ქვეყნის უშიშროებისა და პოლიტიკური მშენებლობის ამჟამად არსებული პრობლემების სიმწვავეს უგულვებელყოფენ.

მხარეების დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომები ტვირთების ტრანზიტის მიმართ

ამჟამად ბლოკირებული ტერიტორიების გავლით სატრანზიტო გადაზიდვების თემა შედარებით მარტივი იყო, „ენგურის კარიბჭის“ გავლით ჰიპოთეტური ბიზნესის წარმოების სხვა ასპექტებთან შედარებით. მხარეებს რისკების შეფასების და ტრანზიტის უზრუნველყოფის თაობაზე დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებები გააჩნდათ. აფხაზეთის ის წარმომადგენლები, ვინც ეკონომიკური კავშირების თეორიულ განხილვაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, სატრანზიტო გადაზიდვებს მისაღებ ამოსავალ წერტილად და პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებად დამუხტულ და, კონფლიქტის საზღვრის გადაღმა ბიზნეს ურთიერთობების სხვა ფორმებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად პრობლემურ თემად მიიჩნევენ. ზოგიერთმა რესპონდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სატრანზიტო გადაზიდვებს შეუძლიათ სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებული დაძაბულობის განმუხტვა, რადგან, ამ შემთხვევაში, გამგზავნიც და მიმღებიც მესამე ქვეყნებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვანი სწორედ მათი ბეჭდების და დოკუმენტაციის არსებობაა, ხოლო თავად ტრანზიტის პროცედურა შეიძლება ნაკლებად ბიუროკრატიული იყოს. სხვების აზრით, ტრანზიტი ყველაზე მომგებიანი და ბიუჯეტისათვის ყველაზე დიდი სარგებლის მომტანია. ასეა თუ ისე, ყველამ ხაზი გაუსვა, რომ ტრანზიტის განხორციელებისთვის დოკუმენტაციაზე ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს სატრანზიტო ბეჭდები, ან საქართველომ და აფხაზეთმა სატრანზიტო დოკუმენტები ცალ-ცალკე, ორი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსით უნდა გასცენ. ქართული პოლიტიკური წრეები, რუსეთსა და აფხაზეთში არსებული კორუფციის და ბიუროკრატიის მიზეზით, ტრანზიტს მაღალი რისკის შემცველ საქმიანობად მიიჩნევენ, როგორც უშიშროების ზომების არარსებობის, განსაკუთრებით, როდესაც ტვირთი რუსეთიდან სომხეთში გადაადგილდება, ასევე, ტვირთთან დაკავშირებით პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, მასთან წვდომის შეუძლებლობის გამო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი სატრანზიტო გადაზიდვების წინააღმდეგ აწერბაიჯანის პოტენციური პროტესტი გახდა, რადგან ეს უკანასკნელი არ არის დაინტერესებული იმაში, რომ სომხეთს რუსეთთან დამაკავშირებელი მოკლე და იაფი სატრანზიტო კორიდორები გააჩნდეს. აწერბაიჯანი საქართველოს უმსხვილესი ინვესტორების რიცხვში შედის და რეგიონში მისი ერთადერთი მოკავშირეა უშიშროების სფეროში. შესაბამისად, საქართველო მზად არაა აფხაზეთის გავლით სატრანზიტო კორიდორების მიღების გამო აწერბაიჯანთან ურთიერთობები საფრთხის ქვეშ დააყენოს.

ამრიგად, აფხაზეთის მხარე უფრო დაინტერესებულია ტრანზიტში, თუმცა თავისი პირობებიც გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი გადამწყვეტი ფაქტორი საქართველოსთან თანაბარი სატრანზიტო ტერიტორიის სტატუსია. საქართველოსთვის აფხაზეთის გავლით ტრანზიტი უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებთან და აწერბაიჯანთან შესაძლო უთანხმოების და კავშირების შესუსტების საფრთხესთანაა დაკავშირებული, მაშინ როდესაც აწერბაიჯანი ნახშირწყალბადების ექსპორტის თვალსაზრისით რუსეთის მთავარ ალტერნატივას და უშიშროების სფეროში ქვეყნის ძირითად მოკავშირეს წარმოადგენს.

არც ერთი მხარე არ მოელის ქენევის პროცესისაგან პროგრესს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა ვერც ამ პროცესის ალტერნატივას ხედავს

მთლიანობაში, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი პოლიტიკოსები, ოფიციალური პირები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ქენევის პროცესი პროგრესის დეფიციტით ხასიათდება, თუმცა თვლიან, რომ მისი არსებობა აუცილებელია, რადგან პირისპირ დიალოგის გასამართი სხვა პლატფორმა არ არსებობს. როგორც წესი, აფხაზეთის

წარმომადგენლები ადანაშაულებენ საქართველოს ენევის პროცესის რეგულარულად ბლოკირებაში, მაშინ როდესაც საქართველო აფხაზეთთან პირდაპირი და ეფექტური დიალოგის წარმოების მთავარ დაბრკოლებად რუსეთს თვლის. ორივე მხარე აცნობიერებს, რომ ენევის ფორმატი პრობლემების გადასაწყვეტად არ შექმნილა, თუმცა ეს პოზიცია არ გამორიცხავს ისეთი სხვა პლატფორმის ან პროცესის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც კონკრეტული თემის ან პრობლემისადმი იქნებოდა მიძღვნილი.

აფხაზი რესპონდენტების ნაწილმა შეგვახსენა ეკონომიკური საკითხების განხილვისადმი მიძღვნილი დიალოგის დაწყების და ენევის პროცესის ფარგლებში ეკონომიკური სამუშაო ჯგუფის შექმნის იდეების შესახებ; გაურკვეველი მიზეზების გამო ეს იდეები არ განხორციელებულა. გამოკითხულთა აზრით, ეკონომიკური კავშირის იდეა აზრს მოკლებული არაა.

ორივე მხარე თანახმაა, რომ საჭიროა გადაიხედოს ან სრულებით გაუქმდეს საქართველო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რაც კონფლიქტის მხარეებს შორის ბიზნეს ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს.

ყველა ქართველი რესპონდენტი კანონს მოძველებულად და დღევანდელ რეალობასთან შეუსაბამოდ თვლის და ფიქრობს, რომ მისი გადასინჯვაა საჭირო. ზოგიერთი ფიქრობს, რომ იგი საზიანოა და იყო პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც კიდევ უფრო უბიძგა აფხაზებს რუსეთთან კავშირების გამყარებისკენ. კანონის მე-6 მუხლი, რომელიც „ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ ან მასთან ბიზნესის წარმოებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს, უნდა გაუქმდეს.

აფხაზეთში ამ კანონის არსი ცოტას თუ აინტერესებს, რადგან ისინი თავად „ოკუპირებული ტერიტორიის“ ცნებას უარყოფენ. აფხაზი პოლიტიკოსები, ოფიციალური პირები და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მქონე პირები თვითონ, რომ საქართველომ ეს კანონი სრულად უნდა გააუქმოს. მან აფხაზეთის ბიზნესი ვერ დააზიანა, მაგრამ, სამაგიეროდ, აფხაზების კიდევ უფრო გაუცხოვება გამოიწვია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამ კანონის გაუქმება იმის ნიშანი იქნება, რომ საქართველო მზადაა ხმალი ქარქაშში ჩააგოს და აფხაზეთს, როგორც თანაბარ პარტნიორს დაელაპარაკოს.

International Alert

346 Clapham Road, London, SW9 9AP, United Kingdom

Tel +44 (0)20 7627 6800 **Fax** +44 (0)20 7627 6900

info@international-alert.org

www.international-alert.org

Registered charity no. 327553

ISBN: 978-1-911080-97-8



/InternationalAlert



@intalert